საქართველოს საპროკურორო საბჭოს

2015 წლის 19 ნოემბრის სხდომის

ოქმი №2

თბილისი, 19 ნოემბერი, 2015 წელი

სხდომა დაიწყო 11.00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

საპროკურორო საბჭოს (შემდგომში – საბჭოს) წევრები:

- საბჭოს თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე – ეკა ბესელია;
- ქალაქ თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი – ანა კალანდაძე;
- ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილე – გიორგი გაბოძე;
- ქალაქ რუსთავის რაიონული პროკურორი – კონსტანტინე სირაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი პროკურორი – გიგა ძნელაძე;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე – ანზორ უსტიაძე;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი – მამუკა ფიფია;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – გოჩა ფარულავა;
- ქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი – ნათია სონღულაშვილი;
- მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე – ვასილ მშვენიერაძე;
- ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე – სერგო მეთოფიშვილი;
- სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელი, სასწავლო უნივერსიტეტ „ევროპული აკადემიის“ პროფესორი – პოლიკარპე (თემურ) მონიავა;

– სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ადვოკატი – ირმა ჭკადუა.

საბჭოს სამდივნოს წარმომადგენელი:

– ნათია ჩირიკაშვილი – იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 11:00 საათზე და შეამოწმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. საბჭოს თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 24 ოქტომბრის №105 ბრძანებით დამტკიცებული „საპროკურორო საბჭოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. იუსტიციის მინისტრის მიერ შერჩეული მთავარი პროკურორობის 3 კანდიდატისაგან შემდგარი სიის წარდგენა;
2. წარდგენილ მთავარი პროკურორობის კანდიდატებთან ინდივიდუალური გასაუბრება;
3. ფარული კენჭისყრა;
4. ფარული კენჭისყრის შედეგების დათვლა და მთავარი პროკურორობის ერთი კანდიდატის დამტკიცება საბჭოს მიერ.

სხდომის გახსნისას თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ, როგორც საპროკურორო საბჭოს 2015 წლის 2 ნოემბრის სხდომაზე გადაწყდა, აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წევრებსა და სამართლის დარგის სპეციალისტებთან იუსტიციის მინისტრის ერთთვიანი კონსულტაციების დასრულების შემდეგ მინისტრი საბჭოს წარუდგენდა მთავარი პროკურორობის 3 კანდიდატს, რომელთა ერთი მესამედი მაინც განსხვავებული სქესის იქნებოდა. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, 2015 წლის 13 ნოემბერს დასრულდა კანონით განსაზღვრული ერთთვიანი კონსულტაციები, რის საფუძველზეც იუსტიციის მინისტრმა შერჩეული მთავარი პროკურორობის 3 კანდიდატისაგან შემდგარი დასაბუთებული სია საბჭოს 2015 წლის 18 ნოემბერს წარუდგინა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარდგენილი სამივე კანდიდატი აკმაყოფილებს „პროკურატურის შესახებ“ კანონით გაწერილ კრიტერიუმებს, და მათ შორის ერთი წევრი განსხვავებული სქესის გახლავთ.

იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს წევრებმა კენჭისყრამდე მოისურვეს შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება, რაზეც 2015 წლის 2 ნოემბრის სხდომაზე შეთანხმდნენ, მთავარი პროკურორობის კანდიდატები დაბარებულ იქნენ ანბანის მიხედვით.

იუსტიციის მინისტრმა საბჭოს წარუდგინა პირველი კანდიდატი, ბატონი ვლადიმერ გაბრიჩიძე – ადვოკატი, რომელიც წარსულში მუშაობდა უშიშროების ორგანოებში გამომძიებლად 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში; აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება; არის სისხლის სამართლის მიმართულების სპეციალისტი; 14 წელია, მუშაობს ადვოკატად სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

მეორე კანდიდატი, რომელიც თავმჯდომარემ საბჭოს წარუდგინა, გახლდათ ქალბატონი ნანა რევაზიშვილი, რომელიც პროკურატურის ორგანოებისთვის ცნობილი ყოფილი მუშაკია. ის 12 წელი მუშაობდა პროკურორად სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურასა და შემდეგ – იმდროინდელ გენერალურ პროკურატურაში; უკანასკნელი 6 წელი მუშაობს ადვოკატად სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

საბჭოსთვის წარდგენილი მესამე კანდიდატი გახლდათ ბატონი ირაკლი შოთაძე – საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე. ბატონი ირაკლი უმაღლესი იურიდიული განათლების მქონეა; 4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა პროკურორად, შემდეგ – ფინანსურ პოლიციაში გამომძიებლად; 2 წელია, მუშაობს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის თანამდებობაზე.

როგორც ქალბატონმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, სახელმწიფოს ხელთ არსებული ინფორმაციით, წარდგენილი კანდიდატები არ არიან ნასამართლევი. ამასთან, დასძინა, რომ თითოეული მათგანი უნდა სარგებლობდეს კარგი რეპუტაციით, რაც გასაუბრების დროსაც გახდებოდა ცნობილი. მინისტრმა საბჭოს წევრებს შეახსენა კენჭისყრის პროცედურა, მისი ფარულობა და თითოეული წევრის აბსოლუტური თავისუფლება – ხმა მიეცათ მათთვის სასურველი კანდიდატისათვის. რამდენადაც თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე ეყრებოდა კენჭი, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები თავისუფალნი იყვნენ, ხმა მიეცათ ერთზე მეტი კანდიდატისათვის.

თავმჯდომარის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა მოსაზრებები, ვინ შეიძლებოდა წარედგინა საბჭოსთვის, მაგალითად, ქალ კანდიდატად, მან ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა და წარდგენილი 3 კანდიდატი შეარჩია იმ 8 კანდიდატს შორის, რომლებსაც გაუწიეს რეკომენდაციები არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედიასაშუალებებმა და აკადემიურმა წრეებმა. როგორც ქალბატონმა თეამ აღნიშნა, ამგვარი ქმედებით იგი, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირი და საბჭოს ხელმძღვანელი, შეეცადა, საბჭოსთვის არ მოეხვია თავს საკუთარი შეხედულებები.

თავმჯდომარემ წევრებს ამცნო, რომ გასაუბრების შემდეგ გვერდით სათათბიროში გაიმართებოდა ფარული კენჭისყრა, რომელსაც დააკვირდებოდნენ რვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და მედიასაშუალებები. კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდებოდა ის, ვინც ხმების 2/3-ს დააგროვებდა. რამდენადაც საპარლამენტო უმცირესობის მიერ არ მოხდა საბჭოს მე-15 წევრის არჩევა, საბჭო საქმიანობს 14 წევრის შემადგენლობით, ამიტომ მე-15 ბიულეტენი განადგურდებოდა, რის შესახებაც სამდივნოს მიერ გაფორმდებოდა შესაბამისი ოქმი.

მთავარი პროკურორობის კანდიდატებთან ინდივიდუალური გასაუბრებები დაიწყო 11.20 საათზე და გაგრძელდა 4 საათს: ანბანის მიხედვით საბჭოს წინაშე პირველი წარდგა ბატონი ვლადიმერ გაბრიჩიძე; კანდიდატთან გასაუბრების დასრულების შემდგომ საბჭოს წინაშე წარდგა ქალბატონი ნანა რევაზიშვილი; პროცესი დასრულდა ბატონ ირაკლი შოთაძესთან გასაუბრებით, რის შემდეგაც დაიწყო ფარული კენჭისყრა.

საბჭოს თავმჯდომარე:

თეა წულუკიანი

საბჭოს წევრები:

ეკა ბესელია

ანა კალანდაძე

გიორგი გაბოძე

კონსტანტინე სირაძე

გიგა ძნელაძე

ანზორ უსტიაძე

მამუკა ფიფია

გოჩა ფარულავა

ნათია სონღულაშვილი

ვასილ მშვენიერაძე

სერგო მეთოფიშვილი

პოლიკარპე (თემურ) მონიავა

ირმა ჭკადუა